

თეატრი

საქმის და კვირის სალიტერატურო და სახეატრო გაზეთი

1989 წელსა

№ 7

ფურცელი 12

გაზეთი ღირს: ერთი წლ. 5 მან.,
ნახევ წლ 3 მ., ცალკე №-15 კ.
ხელის მოწერა მიიღება: თბილის-
ში რედაქციის ვახტორაში. Тиф-
ლისь, въ редакцію газеты
„ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება:
თბილისში, ჩარკვე-ანის წიგნის მა-
ღაზიაში და ბებუოვის სააგენტოში.

რედაქცია არა კისრლობს წერი-
ლების უკან გაგზავნას და მათ
შესახებ მიწერ-მოწერას.
გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავ-
ნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მო-
წერილი სახელი, გვარი და ად-
რესი დამწერისა.



მებრეგლის 7-ს, დილის ათს საათზედ, მოასვენეს გეამი მიცვალებულის გრაფის მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელიქოვისა. რკინის გზის სადგურზე შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი. თბილისის გენარლობა, ხარისხოვანნი კაცნი, მარშლები მაზრებრსა და დეპუტაციები ელოდნენ გეამის მოსვენებას დილის ცხრა საათი ღანვე.

დეპუტატები და დეპუტაციები გვირგვინებით დამწკრივდნენ ორპირად რკინის გზის სადგურის ბაქანზე, სადაც შავით მოსილი ტახტი იყო მომზადებული კუმბას დასვენებლად.

მოასვენეს მიცვალებული. გაზოუქმდვარეს გვირგვინები და წაასვენეს ვანქის ეკლესიაში. წინ სომხის დედა-მონოზნები მიუძღოდნენ გალობით. სამოცამდე გვირგვინი იყო. ამათ შორის იყო ქრთველთა შორას წერა-კითხვის გამაგრებელის საზოგადოებისა, რომლის დამფუძნებელ წევრადაც ვარდაცვალებული მ. ტ. ლორის-მელიქოვი ითვლებოდა.

კუბო ჩაასვენეს თუ არა საფლავში, თოფები და ზარბაზნები დაცალეს.

საოცარნი კაცნი

სვგვა-და-სვვა დროისანი, არსებულნი და არა-არსებულნი, თანამედროვენი და განსვენებულნი.

აღამი—პირველი კაცი, ჩვენი მამათ-მთავარი. თუმცა პირველი კაცი იყო, მაგრამ ნაკლი იმასაცა ჰქონდა. უმთავე-რესი ნაკლი იმისი ის იყო, რომ თავისის მდგომარეობის გაუმჯობესობა არ იცოდა, პირ-იქით, ერთად-ერთის სამოთხის მეტი არა ჰქონდა-რა, და იმასაც გამოეთხოვა.

დიოგენი—მეტად ახირებული ადამიანი იყო. დღისით სანთლით ეძებდა კაცსა, მაგრამ ისე მიიცვალა, რომ ვერა-ვინ იპოვნა. 1888 წლამდე რომ ეცოცხლა და ჩვენს ტფილისში ეცხოვრა, იპოვნიდა თავისს საქმბნელს: ბარიათინსკის ქუჩაზედ, ბელოვისეულს სახლებში, რედ. „T. II.“

მშვენიერი კლენე—ყოვლის მხრით სასიამოვნო ქალი იყო და იმ აზრს ადგა, რომ კარგი, თუ ცუდი კაბუკი მოხუცს მაინც სჯობიაო. რაღა თქმა უნდა, ეხლანდელი ჩვენი ქალები სრული თანახმანი არიან ამ მშვენიერ ელენეს აზრისა.

ეკა—პირველი დედაკაცი, ჩვენი დედათ-მთავარი. მისგან წარმომდინარებენ ყველა ქალები, რომელთაც დედა-მთავარმა ის დარიგება მისცა, რომ ვინიცობა შეგემთხვეთ რამე, გველს შემადღუნებელს დაამიწეწეთო. ერთის სიტყვით, იმისი მოგონილია ქართული ან ზნა: „მიზეზ-მიზეზ, დოს მარლილი აკლიაო“.

ლაკველასი—ყოველთვის კაბუკი იყო, ყოველთვის ახალ-გაზდა. საკვირველი ადამიანია იმ მხრივ, რომ დღის სინათ-

ღეს არასოდეს არა ჰხედავს და თავისის სიცოცხლის უმეტესს ნაწილს ატარებს შკაფებში, კამოდებში, საწოლ ქვეშ, ფარდებს უკან. ბევრი ალიყული მოხვედრია.

6 შლატონი—კანთქმული მქადაგებელი „მშრალის“ სიყვარულისა.

ედისანი.—ამერიკის მოქალაქე, რომელმაც ბევრი ... ფონი გამოიგონა, მაგრამ დედაკაცთა ქორიკანობისა და მითქმა-მოთქმის მოსასპობი საშუალება-კი ჯერ ვერა მოუგონა-რა.

ბულახუკ—ჩვენის დროის გამოჩენილი არტისტი. მშვენიერად იცის თავის მოკაჟღება, სხვისის ხელით ნარ-ეკალის კრეფა, ცოლთან განქორწინების წარმოდგენა და მოელის, რომ ქანდარაზე შესკუპება და „ყიყლიყოს“ დაძახება ელირსება.

ნიკ—ქე—დიდად გამოჩენილი კაცი ჩვენში. ხმოვანი ჩარჯუისა, აბისინიისა და ჯიხაიშისა. 300 ათასი წიგნი ექნება დაწერილი თავისის წარსულ ცხოვრების მოგონებიდგან. საკვირველია კიდევ იმითი, რომ უცხო სახელმწიფოს ყველა დიდებულ და გამოჩენილ კაცთან ჰქონია დამოკიდებულება: გამბეტასათვის თავში ჩაურტყავს, ლუი-ბლანთან ათურმა უთამაშნია, ფერრისთან—ჩილიკა-ჯოხი, ფლოკესთან—ყოძარი, სალისბერთან—თვალ-ხუჭუნა, ლორისი გაუწურთენია და სხვანი და სხვანი მრავალნი..

სუბ—რევი—რედაქტორი და ვეჟილი, ვეჟილი და რედაქტორი. ამისი ბადალი, ტოლი და სწორი არსად მოიპოვება, რადგან შეცდომით შესკუპებულა რედაქტორობისა და ვეჟილობის კოფოზედ. მარტო თითონა სწამს თავისი თავი და სხვას არავის. თანამედროვე ხალხს ჯერ ვერ შეუგნია იმისი მაღალი და ბრძენი ქკუა. რედაქტორია იმითი, რომ დღეში ოცამდე განცხადებას ასწორებს და წაღმან უკულმად სწერს, უკულმას წაღმად. ამას გარდა ჯამბაზობაც უსწავლია, რადგან აქლემის კისერზე დაკიდებულს ბევრ-

ჯელ გადაუელია მალაყი. ამ პირუტყვის კუხსა და კუხს შუა ცარიელის თავით ყირამალა დ-დგომა და ფეხების ათამაშება კარგად იცის.

შაკროვი — ქართველთა-ყლაპია. საკვირველია იმითი, რომ ერთს ქართველს მოუწოდომა გადაყლაპვა და ისიც ყელზედ დაადგა, ფეხები-კი შთანთქა, მაგრამ თავი და ხელები ველარ მოასწრო და ეხლა ნახევრად გადაყლაპული თავში უტყაპუნებს და ცხვირიდგან ძმარს აღენს. იგი ამტკიცებს, რომ წინად გარეთუბანი, სოლოლაკი, კუკია, ხარფუხი და ავლაბარი სულ შავროვებით იყო დასახლებული, ქართველი-კი ყინულის ნაპერწკალმა გამოაკეცესა, ზაფხულის მზემ გამოაშუშა და ისე გაჩნდა ამ ქვეყნადაო. საქართველო მოგონილი, ცრუ სახელია და ამის მაგიერ საშაკროვო უნდა ერქვასო.

ამისი დაძწერი — ფრიად კარგი ყმაწვილი, მტრის თვალის დამყენებელი და აქ დასახლებულ გმირთა დიდი პატივისა და თაყვანის მცემელი. შენტვის ნაცნობი, “თეატრის”, მკითხველო, მაგრამ გადასხვასახელებული, გადასხვაფერებული, გადანათლული და აწ უცნობი

აღუბა

დათუმა დახქორწილა.

კომედია ერთ მოქმედებად.

(დასასრული)

იგინივი, ლილიას ვარდა.

სე. ანდრ. რაზედ ისაუბრეთ?

ლილია. რა ვიცი... რაზედ არ ვხასობდით? ეს ისე სასიამოვნო იყო ორივესათვის, რომ ჩვენ არც-კი შეკვირვებულთ ერთმანეთს, ისე შეკვდიით მეორე დღესაც... შემდეგ, მესამე დღესაც, მეოთხესაც და ბოლოს პირაბესაც უდებდით ერთმანეთს... (სვიმონ

ანდრეისს) რათა ამოიხსნებოდა? შენ არას დროს არ შეგმთხვევია ამ გეგმაში რაში?

სე. ანდრ. განაგრძე.

ლილია. შემდეგ მე ვნახე ის ქალაქში—და გიმნაზიის უფროსი ქალი საშინლად აქებდა მას.. ასე, ამ გუბარად, ჩვენ ერთმანეთის საჭირო გავეხდით და უნდა გითხრა... როგორ?... მე ძლიერ შეშინდებოდა... ვინ იცის იმ წამსვე ნიშადურის სპირტები... მეც მოვიგონე... თუმიცა სულელურად-ჯი... ეს დათვი... რათა უცნაურად... (სვიმონ ანდრეისი ჰკოცნის ხელზე) რას შეოცნი ხელზეზე?! რას შეოცნი?!.. შენ ესლავე ცხვირის ხოცვას დაიწყებ...

სე. ანდრ. არაფერია... ეს არაფერია.. დეე... (ცხვირს იხოცავს) შენ, ჩემო მანათობელო, სისარულეო... შენ ჩემო საუცხოო სისარულეო... (ჰკოცნის მას).

ლილია. შენ ნუ გგონია, ბიძა ჩემო, რომ ამისთვის შენ ხაკლებად მიეკარდები... არამედ უფრო მეტად!—ყოველთვის თქვენ ორივენი მასსოვხართ... უკვლა,.. თქვენ სამივენი.

სე. ანდრ. წადი, მოიყვანე აქ.. ჩვენი დირექტორის ცუდს არ აქებდა... მოიყვანე აქ.. გონებებს ის აქ ასლო-მხლოა... შენ არ წასხურხეულე რომ ნუ წასვალა? (შემოდის ივან ანდრეისი).

ლილია. ესლავე ბიძა ჩემო!! აა, საუკარელო ბიძა ვანო (ჰკოცნის ივან ანდრეისს) ესლავე (ტრბის ბაღისაკენ...)

IX

სვიმონ ანდრეისი და ივან ანდრეისი.

ივ. ანდრ. რა არის? რა ამბავია?..

სვიმონ ანდრ. აი რა არის: ორივენი „მერწყვასში“ გაგზავნილი... ნიშნის ავადიყო.

ივ. ანდრ. რას ამბობ?.. ნუ თუ შენ გჯერა, რომ იმ მატურატორად დაიხსნა ლილია დათვისტან?

სვ. ანდრ. ერთის მაგიერ, ორის დათვისაგან.

ივ. ანდრ. შეუძლებელია!

სვ. ანდრ. სოფელ ეს დათვები... მე და შენ ვართ... ჩვენ ღი-
 ლქვას შექყვარების ერთი კაცი; კიდევ მადლობა დმეტოს, რომ,
 გვინებ, კარგ კაცს შექყვრია.

ივ. ანდრ. ვაი, ვაი!... კიდევ გამშფვალა, კიდევ ..

სვიმონ ანდრ. არა... არ შეიძლება... მე დავპირდი ღი-
 ლიას... რომ არავითარ ჯვითმოფობასეოდ არ გტავონებთ-მეთქი...
 სულ დიმიდი და მხიარულებს უნდა გვეტეობოდეს... გესმის?..
 ლილია, ჩვენი ბუღბული, ღირსია ამისა, ღირსია... (ღილიან შე-
 მოკვავს ბარსოვი).

X

ივინივე ბარსოვი და ლილია.

ლილია. აი ესეც.

სვ. ანდრ. თქვენ გაამართლებთ? თქვენ გაამართლებთ?..
 (ქოცნიის ბარსოვს).

ივან ანდრ. მეც ვაკოცო?

ლილია. დიაღ, დიაღ, დიაღ... რასაკვირველია შენც...

ივან ანდრ. (გაჭკვრებით იმეორებს) დიაღ, დიაღ, — რასა-
 კვირველია!.. (ქოცნიის ბარსოვს) რამ მოგიუყანათ აქა?!..

სვიმონ ანდრ. ივანე, მე სომ გითხარი, დაქსენ მაგისტა-
 ნაებს მეთქი...,

ლილია. იმიტომ მოვიდა, ბიძა ჩემო, რათა ეს ჩემი კრული
 გული განსათლოს.

ივ. ანდრ. მამ შენ... მე არ მითქვამს, მე არ მითქვამს... მხო-
 ლოდ აი რა, მოწყალება სულმოფხვ... აი ჩემი რჩევა: თუ აწ რო-
 დისმე მოგესურვოს სიცრუის თქმა, მაშინ სჯობს მართალი
 საჭკათ!... თქვენ არ გციო... ეგრე სომ...

ბარსოვი. არ ვიცი... სრული ჭეშმარიტება, არ ვიცი... ეს
 შირველი და უკანასკნელია .. დმეტოს დამითაროს, თორემ ვინ

იჩის ეგებ მართლა ცენტრალური თოფი იყოს საჭირო, მა-
სკედრებ და... მაგრამ ესლა მე არაფერი მიზანი არა მაქვს...
(ქეოცნის დილიას ხელეზზე).

ივ. ანდრ. მამა... (უცნებ მოაგონდება) მე ესთქვი მა!!.

ბარსოვი. თქვენ რასაკვირველია გინდათ გეთქვათ: მა-მაცი.


ივან ანდრ. რასაკვირველია, რასაკვირველია, სწორედ ეგ
მინდოდა მეთქვა... (სვიმონ ანდრეიხი ძალსუდ ცხვირს იხრცავს).

ლილია. დმერთო! ბიძა სისო ცხვირს იხრცავს... ბიძა
ჩემო! ბიძა ჩემო!!..

სვ. ანდრ. (ცრქელ-მორეული) საჭირო არ არის ნიშადუ-
რის სპირტი! საჭირო არ არის!..

(ფარდა დაეშვება).

გრ. გველესიანი.



მგზავრობა.

(თარგმანი)

თხზ. ეაშინგტონ ირვინგისა.

(დასასრული)

მოსუცებულთ გაახებს ღამაჩაკვი. ემაწვილი კაცი მივიდა ახალ-
გზდა გრაფინიასთან, უთხრა რამოდენიმე სიტყვა. ღამაზს ქალს
გადაჭრა სახეზე დიმიღმა, გამობრუნდა და დადონებული დაჟდა
თავის ადგილს.

— „დღეს ცოტა ვერ არის კარგ გუნებაზედ, სთქვა გრაფ-
მა—წარმოიდგინეთ: თქვენი ეტლი, რომ შემოვიდა ესოში, ეს
მამინ ფანჯარასთან იდგა; არ ვიცი ნიკმა დაჭკრა, თუ რა? საშინე-
ლი გულის წუსილი მოუვიდა და ჟერანც ვერ გამობრუნებულა. წი-
თედმა ფერმა გადაჭკრა სახეზე ემაწვილს ქალს და დარცხენიღმა
ჩაჭკიდა თავი.



Արշակունիի թագավոր Գրգոր Գեորգիանի արքայազնը III

უ ზ ე ე ს მ ა ნ ი



სელიშვილი იმერეტის მარია ევდოქიას ასული

ამის შემდეგ შემოუსხდნენ სუეველანი ცენსუსი. გრაფინიას ფანტური კედელზე ეკიდა; პრინცესამ დაინახა და სთხოვა: — გარგი არ იქნება, მანამ დავიძინებდეთ, ერთი ორიოდ „სმა“ დაუკრას?

გრატუს თავი მოსწონდა ქალის ნიჭით და დიდის სურვილით დასთანხმდა პრინცესას თხოვნას, ემაწვილი კაცი წამოსტა, ჩამოიღო კედლიდან ფანტური, და მარდათ მიაწოდა ემაწვილ ქალს. ის თუძნა პირველად დიდ უარზედ იდგა, მაგრამ ბოლოს მანინც შეასრულა პრინცესას თხოვნა და ნაზათ ჩამოჰკრა სული ფანტურას. სიმების ჟღერიალმა ალტარებაში მოიყვანა მსმენელნი. მოსუცს კასპარის დეკორიფნა გულს სელი, მიჰეუდებოდა კედელს და მთლად სმენათ გარდაქრულიყო. პრინცესა ცდილობდა აეუოლებინა სულები ქალის დაკვრას, მაგრამ უწმაწურათ ახრასუნებდა მუხის სტოლზე.

— ერთი თხოვნაც უნდა შეგვისრულო, ხე მო მშვენიერო, სოქვა გრაფმა და მიუასლოკდა თავისს ქალს: — „სა ერთი შენი სუევერელი სმა იძურე, იქნება მოეწონოს პრინცესას; თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მიუბრუნდა გრაფი მსმენელთ, რა რიგ ალტარებაში მოჰყავს ხალხი ამ ცელქს თავის მშვენიერ კილოთი და სმით“.

ამ სიტყვების გამო ემაწვილ ქალს სიწითლე მოუვიდა სახეზე, რამდენსამე ხანს შეუოყიდა. შემდეგ ჩამოჰკრა სული სიმებს და დამერა ნაზის სმით. ლექსში, რომელიც წარმოსთქვა ამ ქალმა, პოეტი უძერდა იმ ტანკულს და უამედო სიყვარულს, რომელიც ახლად არის გაღვივებული უმანკო ემაწვილ ქალის გულში. პირველ დაწოებაზე, გრძნობიერად დაიწყო, მაგრამ თან და თან კვლავ სიტყვები ისმოდა, აღარც გრძნობიერება ეტყობოდა, სმა თითქოს გაუწედა კიდეც და შემდეგ მშვენიერი მომდერადის ქალის თვალებმა დაიწყო ცურვა ცრემლების მორქვში.

გულეკთილი მამა მიკრდა თავის ქალს, მოჰსენა სულები და უთხრა: — უჭიფოთა ხარ განა, ხე მო ნუგემო, და ჩვენ კი ამდენს გაწვალბეთ; წადი ხე მო კარგო და მოისვენე შენს ოთახში!“ ქალი წამოსტა, დაუკრა თავი გამოსაღმების ნიშნად და გავიდა მორე ოთახში.

— „არ შესმის რა დაქმართა ჩემს ქალს, წარმოსთქვა გრავი-
 მა, მისარდა, შევტყუროდი როგორც ვარდის კოკორს, რომე-
 ლიც ახლად იფურჩქნება და ამ ბოლო დროს არ ვინც რა მოუვი-
 და: რა უფო თავის საღამაზე, სიმხიარულე. ახა შეჭხედეთ რას
 დაქმსტავსა ის ცელქი და ხვარდი უმაწვილი! ბეკრი ტანჯვა ამი-
 ტანია, იქნება უმეტესი მოძულადდეს, მაგრამ მგონი ეს გარემოე-
 ბა ძალე ბოლოს მომიღებს“.

— „იქნება შეუვარებულია!“ წარმოსთქვა პრინცესამ ცბიერის
 ღიმილით.

— „იკ შეუძლებელია!“ უზახუსა გრავიმა;—ერთი სიტყვატ
 არ უთქვამს ჩემთვის მაგ საგანზედ.

ეტუბოდა, რომ გუთუკეთილ მამას არ ჰქონია ნატადი უმა-
 წვილ გულის სიყვარული, რომელიც ასე ჩუმად, ფარულად სტან-
 ვავს ადამიანს და თან-და-თან უფრო უძლიერდება.

პრინცესას მისწული წამოსტა უცებ და ჩქარის ნაბიჯით
 დაიწყო სიარული დარბაზში.

უმაწვილმა ქალმა, შესვლის უმაღვე, გაალო ფანჯარა თავის
 ოთახისა, მისტა გზა ახალს ჰეჩს, უნდოდა მით გაეჭარებინა
 თავის დარდები.

— „იმან ნახა ჩემი ცრემლები!“ დაიწყო გულ-ამოსკენით
 ტირილი.—ამოიოხსრა ქალმა,—ნეტავი ვიცოდე რას ფიქრობს ამ
 ჟამად ჩემზე? ნუ თუ ვერა გრძნობს ვერაფერს?

ამ ფიქრის დროს ჩაჰვიდა მწარედ დაღონებულმა თავი, თვა-
 ლებიდგან გადმოსცვივდა ცრემლები, რომლებიც სიჩქარისაგან ერთი
 მეორეს აღარ აცდიდა. ბეკრი მწუსარებისა და წვალების შემდეგ ერთი
 კიდევ ამოიოხსრა ღრმად, თითქოს შეასრულა თავის მოვალეობა და,
 როგორც დაპირა ფანჯარის მისურვა, ამ დროს უცებ მოესმა გა-
 რეთ კედლის კუთხიდან ლაპარაკის ხმა:

— „მამ რა ეშველება უმაწვილ გრავინიას?“ წამოიძახა მოა-
 ხლემ.

— „როგორ თუ რა, რაც სხუებს ისიც მაგას, მეტი რადა
 უნდა ეშველოს?“ უზახუსა პიეტრომ.

— „არა, არა, ის უმაწვილი ქალი მანინ უნდა გამოვიხსნათ როგორმე, შენ არ იცი როგორი გულის...“

— „რას მიქაჩაავ, ნეტა ვიცოდე! როგორ, შენ გინდა, რომ მაგ ვიღაც ტუტის ქალის გულისთვის ჩვენი თავები გაკაბათ მასე? — ლაშარაკის ხმა თან და-თან მისწყდა, ასე რომ ქაღს აღარა ესმოდა-რა.“

— „ნეტავი შემატულობინა რაზედ იყო ლაშარაკი, ან რა საქმიდგან უნდა გამოიმხსნან: მგონი ჩემსეგდ ქაღნათ ლაშარაკი!“ რამდენჯერმე დააპირა მამის დამსება — „მაგრამ შეიძლება ვცდებოდე, იქნება ვერ მიკხვდი იმათ ლაშარაკს?“

დროა იგივეში შესული ქალი გაზოაფხინოლა მოულოდნელად კარების ვაკუნმა. შიშით ატაცებული და წარღაცემული ქალი მიუახლოვდა კარებს სანთლით და ხმის კანკალით კითხს: — „ვინ არის?“ იცნო მოახლის ხმა. რადესაც გრათინამ გააღო კარები, გაფითრებული მოახლე შემოვიდა ხელის ხაბიკით, ტუხნობზე ხელი მ. იფარა და ანიუნა, რომ ხუმათ ელაშარაკნათ. — „უშუქლეთ რამე თქვენს თავს, გასწი ა კსლაჟ ამ სასტუმროდგან, თორემ ერთი წუთის სიცოცხლე აღარ დაგრჩენიათ! ჩქარა დაეშურეთ... აღარც მე მაქვს დრო აქ უოფინისა, აგერ მგონი შეძახან კიდევ... მოვალ... ჩქარა, თქვენი ჭირიძე, მეც მეშინიან...“

— „შერე ქაღა?“

— „საღ არის?“

— „აგერ, იქ არის მეორე ოთახში.“

— „ამაშ შეატუობინეთ იმახაც, მაგრამ თუ დემრთი ტწამთ, ნუ ქკარავთ დროს. უმაწვილა ქალი გაბრუნდა საჩქაროთ, შევარდა თავის მამის ოთახში; იმას ვერ არ ებინა. ქაღმა მსწრაფლად გადასცა რა სიფათიც მოელოდათ. შეშინებული მამა და მოხუცი კასხარი მისცვივდნენ საჩქაროდ მოახლეს და რამოდენიმე ვითხუბის შემდეგ მალე დაწმუნდნენ, რომ სასტუმროს, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, გარს ავაჯკები შემორტყმიან, რომელთაც აწრათ ქაღნათ ბრინჯისას და მისი საღხის გაცარცვა და დაწოცვა: — იქნება შეიძლებოდეს ხევეტოთ კარები და მით დავიცვათ თავი,

წამოიძახა. გრაფმა — „ეგ დონე ჩვენ არ გამოგვადგება, უზასუსა კას-
 ჰარიმ, — რადგანაც თვითონ სასტუმროს პატრონსაც იმ უსუსუ-
 ლაების მხარე უჭირავს.“

— „მაშ რა გზა უნდა მოკეპნაო, როგორ გამოვიხსნათ
 თავები?“

— „ლაფაფის კარები ან ერთი ცხენი აბია, შეჯიქით იმაზე
 და წაბმანდით.“

— „ერთი ცხენი აბია და ჩვენ კი სამნი ვართ... რომელი
 ერთი უნდა შევჯიქოთ.“

— „პრინცესას რაღა ეშველება, წამოიძახა გრაფინიამ, იმას
 როგორღა შევატყობინოთ?“

— რა დროს პრინცესა აჩნის, მე იმისთვის როდი ვგდილობ...
 თქვენ ისე იგვიანებთ, რომ იქნება მარჯლა იმისი დღე თქვენც
 დაგადგეთ; მე აღარ შემოდინან აქ უფიქრა, აგერ მეძახიან. არ გა-
 იგონ რომ აქა ვარ... ერთი სიტყვა კიდე: აგერ, ის კარები გაა-
 ლეთ, ჩაივლით გრძელს კიბეს, მერე მოუსვით მარცხნივ და გას-
 ვალთ ეზოს გარეთ დობესთან. იქ ერთი ცხენი აბია და იმით
 გაეშურეთ გზას. არ დაივიწყოთ, რომ ჩემი სიცოცხლე თქვენზედ
 აჩნის დამოკიდებული, ვინმეღა დამფაროთ და არ გამოცეთ, ვითომ
 აჩნ იცით რა.“

დაათავა ეს სიტყვები და გაკარდა მოახლე. გრაფმა, მის
 ქაღმა და კასპარიმ დაიწყეს რჩევა რა გზით მოესერებინ-
 ნათ წასვლა, მაგრამ გრაფინია მარტო თავის გადაჩენისთვის
 არა სცდილობდა: „ვინ იცის რა საზიზღარ ხალხის ხელში უნდა
 ჩაგვიდნენ პრინცესა და მისი ძმისწული,“ — ამ რიგათ სწუსდა
 ასახლგაზდა ქალი მათ სიცოცხლეზე.

— „მაშ, მე ვკონებ, უფრო გონიერულად მოვიჭკვიოთ,
 თუ ჩვენც აქ დავჩნებით და თუ სიკვდილი მოგველის პრინცესას-
 თან ერთათ დავინოცნეთ.“

გულმოსულმა კასპარიმ გადასწვიტა შემდეგი: ჩვენ დრო
 აღარ დავგროვებია, წაბმანდით თქვენის ქალით, წაიყვანეთ ის ცხენი
 და გაუდექით გზას, ეკუპ ზირველ სოფლამდინ ძალე მიადწიოთ.

იქიდგან მოგვასველეთ ვინმე და ესე გადაგარბინით ჩვენი თავები. ქალმა სელმეორედ დაუწყო თხოვნა, რომ იქ დარჩენილიყვნენ.

— „რათა, რა უნდა გამიროგოთ აქა? წამოიძახა გაჭავრებულის ხმით მოსუენ კასპარიმ, თქვენ თუ დავკვიძლით, თორემ შევლა ვი ან შეკვიძლიან. გრათმა დაავლო ხელი დამახასს გაიყოფა თავის ქალი და გასწია, მაგრამ გრათინის ცოტა შედგა და წახსურხელა კასპარის ჩუმის ხმით:

პრინტესასთან ერთი ემაწვილი ვარია... იმის ძმისწული როგორმე...

— შესმის, მივსვდი და ფიქრი ნუ გაქვთ, ისე გაუფიქრობდებოდა, როგორც ჩემს საკუთარს შეილს.

გავიდა გრათი ეზოში, აუშავ ცხენი, შემოისო თავის ქალი და გაუდგენ ერთს პატარა ბილიკს. გრათინიამ ერთი ვიდეკ მოიხედა სასახლისკენ და შეშინებულმა მოჰსვია მამას ხელეში. იმ ბილიკმა მიიყვანა გრათი იმ ადგილს, სადაც ერთი ბოძი იყო დასმული, რომელზედაც ვკარდინათ ფიცრები იყო მიკრული; ეს იძახს ნიშნავდა რომ, რაკი ამ ადგილს მოატანდა ვინმე—უნდა გამოასლმებოდა წუთი სოფლის სიცოცხლეს. მიახლოვდნენ თუ არა, ამ დროს, მრავალი შეიარაღებული ხალხი გამოცვივდა სხვა და სხვა ადგილებიდან და გადაუდგა წინ.

— „რომელი ხარ? დაიღრიალა ერთმა შესახარის ხმით, გრათმა მოიწადინა გაქეკვა, მაგრამ ერთმა მათგანმა სტარც ცხენს ხელი და დაუჭირა ვილაკვი. ვის შეუძლიან აღწეროს ჩვენი მგზავრების შიში და ტანჯვა...

შეშინებული ცხენი შედგა უკანა ფეხებზე და, სწორედ, გადმოაგდებდა ემაწვილს ქალს, თუ რომ მამას არ მოხვედროდა. გრათმა წამოიწია წინ, მოიძარათ დამახას და შიგ შეუბღი დასცა ავაზაკს, რომელმაც გადიქნია თავი უკან და დაეცა მიწაზე. შათოსა ცხენი და გვარდა წინ; მიყოლეს უკანიდგან ავაზაკებმა თოფები, მაგრამ დმერთმა იბრალა და მივიდნენ სოფელში მშვიდობით.

ისე იყო ეს მთელი სოფელი შეშინებული ამ ავაზაკებისგან, რომ კვარკინ ბედავდა სახლიდან გამოსვლას. სოფლის მას-

ლახლად იყო გაძარტული საყარაულო, მივიდა გრაფი ჯანდაძმებთან და გამოეცნა და თავის თავ-გადასაცალი, განიმძღვალა სოფელში, მოაგროვა იქაურებიც და შეადგინა პატარა ჯარი მტრის დასამარცხებლად. მისამუკლებელი ჯარი, რომელსაც მოუძღვალა გრაფი, დროზედ მივიდა სასტუმროსთან. ყანაღებმა შეიტყვეს ეს და ჯერ-ნენ გამგებლები პრინცსას და მისს ხალხს. მოსუცნებელი კას-ხარი გულმოდგინეთ იქნედა ხმაღს, პრინცსას მძისწული ამაკად წამდგარიყო წინ და აკულადებდა თავის ხალხს. ამათ მიეშველათ „პატარა ჯარიც“ და გაძარტათ განსარებული ომი...

გწუხვარ, რომ ჩემს მკითხველს ვერ შევატყობინებ დაწერილებით შედეგს ამ ჩხუბისას. ისიც საკმარისია, რომ ავანჯის წრე დაირღვა, ზოგი გაიქცა, ბევრი დაიჭრა და უშეტესი დაისოცა. ესევე მოხდა მოხინდაპირე მხარეში. რა მოუვიდა პრინცსას მძისწულს, იქნება ისიც დასოცილთ რინცსაში ურეკია? მკითხავს, რასაკრულია მკითხველი. არა! არა! ის გამოეშურა ამ ამბის შესატყობინებლად ემაწვილს გრაფინიასკენ, რომელიც მოუთმენლად ელოდა ამ ამბავს. ჩაიფრებული და მწარედ დაღობებული იჟდა ფანჯარასთან ემაწვილი ქალი, რომელსაც შემოვიდნენ მამა და ემაწვილი კაცი. ქალს მეტის სისარულით მოუვიდა გულის წუხილი, მაგრამ ისევე მალე გამობრუნდა... რამდენისმე დღის შემდეგ პრინცსას მძისწულმა პატარა გრაფინიასხედ ჯვარი დაიწერა.

დ. აწურელი

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნაპირიძე.

СЪ ЯНВАРЯ 1889 ГОДА
 Е Ж Е Н Е Д Ъ Л Ь Н О,
 ВЪ КОЛИЧЕСТВѢ 50 НОМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ.
 Б У Д Е Т Ъ В Ы Х О Д И Т Ъ

„ДНЕВНИКЪ ТЕАТРАЛА“

ЕЖЕНЕДѢЛЬНАЯ ТЕАТРАЛЬНАЯ ГАЗЕТА,
ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1) Статьи по теоріи искусствъ всѣхъ родовъ. 2) Статьи по вопросамъ театрального дѣла въ Россіи и за границей. 3) Хроника театровъ: критическія статьи, рецензіи, замѣтки, извѣстія о театрахъ, концертахъ, литературно-музыкальныхъ вечерахъ, любительскихъ спектакляхъ. 4) Среди рецензентъ: мнѣнія другихъ газетъ по вопросамъ искусства и театрального дѣла и разборъ этихъ мнѣній. 5) Корреспонденціи изъ всѣхъ городовъ Россійской имперіи и изъ-за границы о всемъ, касающемся искусства. 6) Фельетонъ: повѣсти, рассказы и очерки, оригинальные и переводные, преимущественно изъ міра артистовъ и художниковъ. 7) Стихотворенія. 8) Анекдоты и разныя извѣстія. 9) Приблизительный репертуаръ мѣстныхъ театровъ за недѣлю впередъ. 10) Портреты выдающихся дѣятелей артистическаго міра. 11) Объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: за годъ въ Москвѣ—5 руб. съ доставкой на домъ, за полгода 3 руб., иногороднимъ—за годъ 6 руб., за полгода 4 руб. съ пересылкой.

ПОДПИСКА и ОБЪЯВЛЕНІЯ ПРИНИМАЮТСЯ ВЪ МОСКВѢ: 1) Въ конторѣ редакціи газеты „Дневникъ Театрала“ (3-я Мѣщанская, д. Воскресенской). 2) Въ конторѣ В. А. Просина (Тверская, д. Саввинск. подворья). 3) Въ конторѣ Н. Печковской (Петровскія линіи). 4) Въ конторѣ объявленій В. А. Гиляровскаго (Столешниковъ пер., д. Карзинкина). 5) Въ театральной библиотекѣ Е. Н. Разсохиной (Георгіевскій пер., Тверская, д. Сушкина). 6) Въ газетной и книжной лавкѣ П. И. Ласточкина (Срѣтенскія ворота, д. Дѣдова).

ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: у И. К. Кузьмина (Невскій просп., д. № 48, пассажъ, лит. А.).

Объявленія принимаются по 20 коп. за строку петита.

Издатель—редакторъ П. И. Кичеевъ.

